


საღმრთო მხარე
ბავარიის მხარე



26 ნოემბერი, 2008

ამოვიდა ყელში, ეს „ჩანანერები აკეთე“, „ჩანანერები აკეთე“. ერთხელ დამავინწყდა უმნიშვნელო დეტალი და გადამაქციეს გოეთედ. რისი იმედი აქვთ, რომ ამ ჩანანერებით ოდესმე ყბათაშორისი ძვლისმაგვარ რამეს აღმოვაჩენ? აბა საქმეებს ამ ჩანანერების გარეშეც ვხსნიდი. არა, უნდა ნერო, როგორც ფილმებშია, ან ულვაში დაინკიპო პუაროსავით. ბერეტიც ხომ არ დავიმხო თავზე, რომ გამომძიებლის თქვენს სტერეოტიპულ ხატს მივუახლოვდე? **Scheiße!**

ესე იგი. ქალბატონმა შნეიდერმა დღეს ადვოკატს გადასცა ახალი მტკიცებულება, მისი ქმრის დღიური. საქმეში მანამდე იყო დანა - ბატონი შნეიდერის მკვლელობის იარაღი, ექსპერტების დასკვნები - ქალბატონი შნეიდერის თითის ანაბეჭდების შესახებ დანაზე, სისხლის ნვითების შესახებ მის ტანისამოსზე, ქალბატონი შნეიდერის აღიარებითი ჩვენება, მეზობლების ჩვენებები, რომ ძალიან წესიერი ოჯახია და მათი ბინიდან ჩხუბის ხმა არ გამოსულა. არა, ყველა ექსპერტი როგორ არის მეზობლის ცხოვრებაში, ვერაფრით ამოვხსენი, თან არ მახსოვს რომელიმე მკვლელობისას ვინმეს ეთქვა, რომ ან მკვლელი ან მოკლული კონფლიქტური იყო. იმ დღესაც არავის არაფერი გაუგია. ყრუები. თუ შეზღუდული სმენის მქონე პირები? ამათი პოლიტკორექტული დედაც, რაც ეგ მოიგონეს, საქმეზე დოკუმენტაციის მომზადებას სამჯერ მეტ დროს ვანდომებ. მოკლედ, ეს დღიური მტკიცებულებად მიიღო მოსამართლემ. ახლა მე უნდა დავჯდე და იმ ქალის საწყალი ქმრის დღიურები ვიკითხო.

აჰა, ქალბატონო ვაგნერ, დღიური ნორმა შევასრულე. გავავსე რვეული თქვენი ლანძღვით, დრეცკსაუ! წავედი საქმეს მივხედო, თქვენნაირი უსაქმური კი არ ვარ!

27 ნოემბერი, 2008

მთელი ღამე გავათენე. ასეთი არაფერი მინახავს, წამიკითხავს და გამიგონია. ბევრჯერ გადავიკითხე, საწყალი ქალი. რა ბენვზე მიუსწრია. ღმერთო, რამდენი ლუდი დავლიე, თავი მისკდება. არა! ცხოვრობდე ტიპთან, რომელიც შენს მკვლელობას ასე სკურპულოზურად გეგმავს, თა-

ვისი ალიბის ვარიანტებით და თან სახეში გიცინის, შენს მომზადებულ საჭმელს ჭამს, მარილს ამატებს, ან თვითონ გიმზადებს, რა ვიცი მაგათ ოჯახში როგორ იყო, მოკლედ, შენ გვერდით სძინავს (ან ფხიზლობს) და თან შენს მკვლელობას გეგმავს? წარმოუდგენელი ამბავია.

მოკლედ, დეტალები. ბატონ შნეიდერს, მისი დღიურის მიხედვით, ცოლის მოკვლა ოთხი წლის წინ, ზაფხულში განუზრახავს, მას შემდეგ დღიურს გასდევს ერთი ძირითადი ხაზი - თუ როგორი უნდა იყოს იდეალური მკვლელობა. რას მიჰყავს გამომძიებლები მკვლელამდე? მკვლელობის იარაღს, მოტივის, ალიბის უქონლობას და კიდევ იმას, შეძლებდა თუ არა მკვლელი ფიზიკურად მკვლელობის დაგეგმვას და სისრულეში მოყვანას, ეყოფოდა თუ არა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები. დამპალ ნაბიჭვარს 17 ასეთი ვერსია აქვს მოფიქრებული. თავისი ალიბით. აქედან 3-4 ნაგავია, თუმცა 1-2 იმდენად ბრწყინვალეა, მეც კი ვერ გავხსნიდი.

2 დეკემბერი, 2008

ქალბატონო ვაგნერ, რა იქნებოდა მუსიკას გაჰყოლოდით თქვენც? ფორტეპიანოზე დაგეკრათ თქვენი წვრილი და გრძელი თითებით და თქვენი წვრილი და გრძელი ცხვირი აღარ ჩაგეყოთ ჩემს ცხოვრებაში? დამემტვრა თითები წერით.

ბატონი შნეიდერის დღიურში მთავარი ჩანაწერი ჩემი აზრით ისაა, სადაც ამბობს, რომ იდეალური მკვლელობა არის არა ის, რომელიც გაუხსნელი რჩება, არამედ ის, როდესაც შენ მაგივრად სხვას იჭერენ. თუმცა ვერაფრით ვხვდები ეს აზრი რატომ აღარ დაამუშავა. ვერ მოასწრო? მას შემდეგ 1 წელია დღიურში. შეიძლება ვარსკვლავიანმა ცამ და ზნეობრივმა კანონმა უმტყუნა, რომ სხვა გაემეტებინა ციხეში გასამწესებლად? რაღაც მეეჭვება. ძალიან ცივსისხლიანი ნაბიჭვარი იყო ეს ბატონი შნეიდერი. ჭკვიანი და ცივსისხლიანი. როგორც ბუ. დიახაც, ბუ, ქალბატონო ვაგნერ.

6 დეკემბერი, 2008

ადვოკატმა ნაფიცი მსაჯულები მოითხოვა. ალბათ რაღაც სპექტაკლის დადგმას აპირებენ ისევ. როგორ არ მიყვარს ეს ცირკი, თან ეს შემთხვევითი შერჩევა ისეთი აქვთ, რომ სულ ბრიყვებს არჩევენ. სხედან

მერე დაყვლებილი თვალებით და ყველაფერს ჭამენ რასაც აჭმევ. ალბათ ადვოკატი მათ გრძნობებზე ითამაშებს და მკვლელობას თავდაცვად გაასაღებს. მთავარი მტკიცებულება კი ეს დღიურია. მეზობლები კიდევ იტყვიან, საოცარი ოჯახიაო. ერთი მეორის მკვლელობას გეგმავდა და მეორემ დაასწრო, ნამდვილად საოცარი ოჯახია! გასაოცარი!

7 დეკემბერი, 2008

საზოგადოებრივი ინტერესის გამო სასამართლო დაჩქარებული წესით, 14 დეკემბერს დაინიშნა. ნეტა ვიცოდე, საზოგადოებას რაში აინტერესებს ლუდსახარშის ბულაღტრის სიკვდილის დეტალები? თუმცა, საქმე საინტერესოა. სულ შნეიდერის ცოლის მკვლელობის ერთი ვერსია მახსენდება, რა იდეალური რამეა! ცოლი რომ მყავდეს, აუცილებლად ვცდიდი. ჰა ჰა, ქალბატონო ვაგნერ! ეს დღიური რომ წაიკითხოთ, შეიძლება მეც მკვლელად ჩამთვალოთ. თქვენნაირი ცალტვინა ნამდვილად ასე იფიქრებდა.

8 დეკემბერი, 2008

კაცმა რომ თქვას, დღიურში სისულელეების წერა აუცილებლად იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკაში განახორციელებ? არ არსებობს არცერთი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ბატონი შნაიდერი ცოლს მოკვლას უპირებდა, გარდა ამ დღიურისა. თანაც, 4 წლის მანძილზე ამდენს წერ და მარტო ცოლის მკვლელობაზე? ასეთი შეპყრობილი როგორ უნდა იყო, რომ დღიურში სხვა რამეზეც არ წერო? თუნდაც იმაზე, რატომ გინდა ცოლის მოკვლა? რეალურად ხომ ეგ არის მთავარი მამოძრავებელი და არა ის, გამოვა თუ არა იდეალური მკვლელობა? თუ იდეალური მკვლელობა უნდა, მოკლავდა ვინმე უცხოს. მე, მაგალითად, გამიჭირდებოდა მისი დანაშაულის გამოვლენა, როცა არც მოტივი იქნებოდა, არც ნათესაური კავშირი, არაფერი!

9 დეკემბერი, 2008

გვერდები გადავათვალიერე. არცერთი გვერდი ამოხეული არ არის. ანუ

ეგ არის, რაც არის. დიახ, მისის ვაგნერ, არ მასვენებს გამჩენი! ხელმეორე ექსპერტიზაზე უნდა გავუშვა. იმედია სასამართლომდე მოესწრება.

13 დეკემბერი, 2008

ასე თავი არასოდეს დამიმცირებია, დავადექი ექსპერტებს თავზე და ვუთხარი, არსად წავალ, სანამ არ მეტყვი, რომ ეგ დღიური ნამდვილად მაგ კაცის დაწერილია-მეთქი. მოვაზიდინე წრიპა ბეიკერს ყველა დოკუმენტი მაგათი სახლიდან. კიდევ კარგი ქალბატონი შნიდეური საპატიმროშია, მაგის წიკვინის თავი არ მქონდა. ხოდა მივეცი მაგის წერილები, ამ კაცის ჩანაწერები და საერთოდ, ყველა ფურცლის ნაგლეჯი, რაც კი მათ სახლში მოიპოვებოდა. დამპირდნენ, ოღონდ წადი და ხვალ, სასამართლომდე ჩვენი დასკვნა გექნებაო.

14 დეკემბერი, 2008

Scheiße! Scheiße! Scheiße! ბებერო ვაგნერ („ქალბატონო“ არა ისა).

ეს ჩათლახი ქალი! თან თავისი ხელით რომ არ დაწერა დღიური და საყვარელს გადააწერინა! რა არ გაუმართლა, რომ მის პირად წერილებში ერთი საყვარლის მიერაც იყო გამოგზავნილი?! სადამოს ექსპერტებთან ერთად ლუდი უნდა გადავირტყა. არ დავაყვლებინე უარესად თვალები ნაფიც მსაჯულებს? არა, ჭკვიანი ქალი კია, მოკლა ქმარი, დაწერო მის ნაცვლად დღიური, საყვარელს გადააწერინო და მერე საკუთარი მკვლელობა ისევ მოკლულ ქმარს შეტენო, ამას ხომ უნდა მოფიქრება?!

ჰა, რას ფიქრობთ ქალბატონო ვაგნერ, მაინცდამაინც უღვაში და შემოქმედებითი წვა უნდა მქონდეს სახეზე, რომ დაიჯეროთ რომ კარგი გამომძიებელი ვარ?

Drecksau! მეყოფა ჩანაწერების კეთება!